სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

98063602547313

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N131098321

რეგისტრაციის თარიღი

18.10.2013 წ

ნოტარიუსი: მერაბ ფარჯიკია

მისამართი: ქ. თბილისი ვ/ფშაველას 41

ტელეფონი: 2395715

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

ორი ათას ცამეტი წლის თვრამეტ ოქტომბერს მე, მერაბ ფარჯიკიას ნოტარიუსს ქ. თბილისში რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41-ში, მომმართა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 53"-ს თავჯდომარემ ვაჟა მოდებაძემ რომელმაც მოითხოვა რწმუნებულების შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება, რომლითაც შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს ლეილა ჩხიროძე (დაბადებული: 07.11.1959წ. ვანში, პასპორტი 07PB04297 პირადი №01027012128 გაცემული 02.02.2009წ. იუსტიციის სამინისტროს გლდანის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული: თბილისი, მუხიანის IVბ მ/რ კორპ. 35 "ა" ბინა 35) მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავწმუნდი, რომ მე ნამდვილად ვაჟა მოდებაძემ (დაბადებული: 30.07.1955წ. ჭიათურაში, პ/მ №0059137 პირადი №01012002481 გაცემული: 16.06.1995წ. თბილისი ისნის ში I ქვეგა. მიერ, მისამართი: თბილისი, ვაზისუბნის დასახლება კორპ. 10ა, ბინა 10) მომმართა. მე შევამოწმე მარწმუნებლის ქმედუნარიანობა და ნების გამოვლენის ნამდვილობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა, შემდეგ შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და მკაფიოდ განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას. მარწმუნებელმა ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მინდობილობას, რასაც ვამოწმებ.

მინდობილობა

ორი ათას ცამეტი წლის **თვრამეტ ოქტომბერს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 53"-ს თავჯდომარემ ვაჟა მოდებაძემ** რომელიც შემდგომში წოდებულია, როგორც ,,მარწმუნებელი", ლეილა

1) რწმუნებული წარმოადგენს **ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 53"-ს** ყველა იმ მოქმედების შესრულებისას, რომლის განხორციელების უფლებამოსილება აქვს **ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 53"-ს** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მიზნით რწმუნებული მარწმუნებელს წარმოადგენს ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, საბანკო დაწესებულებებში, საგადასახადო ინსპექციაში, ნებისმიერ საბაჟო სამსახურებში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, შეასრულოს საბაჟო დეკლარირებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მოქმედება (საბაჟო მოსაკრებლის და გადასახადების გადახდა და სხვა საბაჟო პროცედურების შესრულება), ეკონომიკის სამინისტროში, შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში, აწარმოოს შესაბამის საქმე საჭიროების შემთხვევაში ამხანაგობის სახელით საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში. დაესწროს ამხანაგობის კრებას ხმის მიცემის უფლებით და ხელი მოაწეროს კრების ოქმს.

2) აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია ამხანაგობის სახელი შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება, რასაც ამხანაგობის ინტერესებისა და უფლებების დაცვის საჭიროება მოითხოვს. რწმუნებული უფლებამოსილია აწარმოოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია, ჩარიცხვები, გადარიცხვები, კონვერტაცია, მიიღოს ამონაწერები, დაუბრკოლებლად და შეუზღუდავად მიიღოს **ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 53"-ს** ფულადი სახსრები ს.ს "კორ-სტანდარტ ბანკი" შემდეგ ანგარიშზე GE42KS0000000360500076, რომელიც განთავსებული აქვს საბანკო დაწესებულებაში.

3) აღნიშნული უფლებამოსილების განსახორციელებლად რწმუნებული უფლებამოსილია **ბინათმშენებლობის ამხანაგობა "თევდორე მღვდლის 53"-ს** სახელით შეასრულოს ყველა საჭირო მოქმედება. რწმუნებული ვალდებულია წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად. რწმუნებული ვალდებულია ამ რწმუნებულებით მინდობილი მოქმედებები შეასრულოს პირადად.

4) წინამდებარე მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მინდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით.

5) აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში, ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილება 31-ე მუხლის თანახმად ათი ლარი, აგრეთვე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური ორი ლარი თანახმად 39-ე მუხლის პირველი პუნქტისა და დღგ 1.80 ლარი საგადასახადო კოდექსის 169-მუხლისა

მიმნდობის ხელმოწერა: ვაჟა მოდებაძე

ნოტარიუსი მერაბ ფარჯიკია

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N140627009
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	18.06.2014 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის ასლის დამოწმება
ნოტარიუსი	ქეთევან ოდილავაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილის ჟ. შარტავას ქ 7
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	378324
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	69540661906114

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება-გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18